ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF TERJOLA

განკარგულება:**g-29. 2923207001**
თარიღი:**26/07/2023**

ამირან ვერულაშვილისათვის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ბ.გ“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ,,ზ“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის N 7 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-13 მუხლის მე-4 პუნქტის ,,ზ“ქვეპუნქტის, მე-5, მე-6 პუნქტების, ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის განცხადების (N 29-29232071, 26.07.2023) და იურიდიულ საკითხთა კომისიის 2023 წლის 26 ივლისის N 2 დასკვნის საფუძველზე, საკრებულომ **გადაწყვიტა:**

მუხლი 1. ცნობად იქნას მიღებული და ვადამდე შეუწყდეს **ამირან ვერულაშვილს** საკრებულოს წევრის უფლებამოსილება გარდაცვალების გამო.

მუხლი 2. ამირან ვერულაშვილის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თარიღად განისაზღვროს მისი გარდაცვალების მომდევნო დღე-2023 წლის 20 ივლისი.

მუხლი 3. განკარგულება სახელმძღვანელოდ გაეგზავნოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას და N 49 თერჯოლის საოლქო საარჩევნო კომისიას.

მუხლი 4. განკარგულება შესაძლებელია გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ, ზესტაფონი, წერეთლის ქ. #7).

მუხლი 5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დავითი გოგბერაშვილი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
თავმჯდომარის პირველი მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

2400 ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. 7 ტელ. 049122-12-76; 7, CHANTURIDZE STR. TERJOLA,
TEL: 049122-12-76 EMAIL: TERJOLASAKREBULO@GMAIL.COM